საკონკურსო განცხადება

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ასაშენებელი კულტურის სახლის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე არსებული, ყოფილი აფთიაქის, შენობის კედლების დემონტაჟზე და კულტურის სახლის მშენებლობაზე სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 21 000(ოცდაერთი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა)გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ)შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ)კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბა

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში,

მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ

შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება და ესკიზური პროექტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 6 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის რაიონი , დაბა სტეფანწმინდა ალ. ყაზბეგის ქუჩა #1 გამგეობის შენობა.

10.საკონკურსო წინადადება თანდართული დოკუმენტაციით წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით.მონაწილეები არ დაესწრებიან კონკურსის განხილვას.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და

დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში

საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული

მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის

საფუძველზე.

13. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს და წარმოადგინოს

ა) საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი

უნდა იყოს მხოლოდ ლარში;

ბ) განმარტებითი ბარათი- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, ასაშენებელი კულტურის სახლის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფცია და ესკიზი;

გ) ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;

დ) რეკვიზიტები.

15.კონკურსანტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება და

უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი შესაბამისი მიღება-ჩაბარების

აქტით.

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.

ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო

ღირებულების 21 000(ოცდაერთი ათასი) ლარს, საკონკურსოდ არ დაიშვება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

ა) არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.7

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3

გ) შეფასება განხორციელდება -10 ქულიანი სისტემით

გ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ

მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში

გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან

30(ოცდაათი) სამუშაო დღეში შესაბამისი კლასის შენობისათვის საჭირო სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

20.სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ #57 დადგენილებით განსაზღვრული შენობის შესაბამისი კლასისათვის გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტს.(გათვალისწინებული უნდა იქნას ელექტროობა, ვენტილაცია, გათბობა და სხვა)

პროექტირებისას გათვალისწინებული იქნას მიწის ნაკვეთის გარშემო ტერიტორიის არსებული განაშენიანების ინტენსივობა და ადგილობრივი კლიმატური პირობები.

21.საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებულიყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებულიყველა გადასახადები.საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

22. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

23. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები

ესკიზში.

24. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

25. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს

ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს

საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მოცულობა მიზანშეწონილია არ აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

26. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშკერულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

27.კონკურსში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, რომლის ღირებულებაც ანაზღაურებული იქნება გამარჯებულის მიერ.დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ორ კვირაში.

28. ესკიზური პროექტი უნდა შეიცავდეს ,,ტექნიკური დავალებით“ მოთხოვნილ მონაცემებს.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ასაშენებელი კულტურის სახლის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ამავე ტერიტორიაზე ყოფილი აფთიაქის შენობის კედლების დემონტაჟზე და კულტურის სახლის მშენებლობისათვის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

აღნიშნული ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა არემატებოდეს 700000 (შვიდასი ათასი) ლარს.

1. კულტურის სახლის მშენებლობა უნდა განხორციელდეს დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ყოფილი აფთიაქის შენობის (ხანძრისაგან დაზიანებული, შემორჩენილია მზიდი კედლები) ტერიტორიაზე, ალ.ყაზბეგის ქუჩა N24-ში.

2. კულტურის სახლის შენობა განისაზღვროს 2-3 სართულით.

3. ესკიზური პროექტით წარმოდგენილი კულტურის სახლი უნდა იყოს მრავალფუნქციური, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ცენტრალური საკონცერტო დარბაზი მაყურებელთათვის 250 – 300 ადამიანზე, რომელიც ასევე გამოდგება კინოფილმების ჩვენებისათვის. სასურველია მოეწყოს განვითარებული ვესტიბიული, რომელშიც შესაძლებელი იქნება გამოფენების და ფოტოკონკურსების მოწყობა.

გათვალისწინებული იყოს ოთახები ადმინისტრაციის პერსონალისთვის, სახვითი სახელოვნებო წრეებისათვის, სიმღერისა და ქორეოგრაფიული ანსამბლების სამუშაო - სარეპეტიციო ოთახები, ინვენტარის და დეკორაციების შესანახი ფართი და სხვა აუცილებელი დამხმარე სათავსოები.

4. შენობის პროექტირებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად (შენობის შესასვლელში პანდუსების მოწყობა, შედარებით განიერი გასასვლელები, დერეფნები და ა.შ. მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით).

5. ესკიზური პროექტი უნდა მოიცავდეს:

განმარტებითი ბარათი (შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, პროექტის იდეები)

-სიტუაციური გეგმა მასშტაბით: 1:2000

- გენერალური გეგმა - მასშტაბით 1:500

- ყველა სართულის გეგმა - მასშტაბით 1:100

- მახასიათებელი ჭრილები მასშტაბით 1:100.

- ყველა ფასადი - მასშტაბით 1:100 (შესრულებული ფერში, გამოსაყენებელი სამშენებლო მასალის მითითებით).

- ფოტომონტაჟი

- რენდერები მინიმუმ - 2 ც.

- CD დისკზე ჩაწერილი ელ. ვერსია;

- შესრულების მანერა თავისუფალია;

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

6. მასალების წარმოდგენის ფორმა:

საკონკურსო პროექტი უნდა განთავსდეს A1 ზომის ფორმატებზე. ფორმატები დაკრული უნდა იყოს მსუბუქი მასალისაგან დამზადებული პლანშეტებზე. განსახილველ მასალას უნდა ახლდეს CD დისკზე ჩაწერილი ელ.ვერსია.

წარმოდგენილ პლანშეტებს, განმარტებით ბარათს და CD-ს მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა მიეწეროს 1 სმ სიდიდის არათანმიმდევრული ექვსნიშნა რიცხვი. იგივე რიცხვი უნდა ეწეროს დახურულ კონვერტზე, რომელშიც მოთავსდება მონაწილეთა მონაცემები.

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა, ალ. ყაზბეგის ქ. N1.

საკონტაქტო პირი: . **სივრცითი მოწყობის ,არქიტექტურისა და ზედამხედველობის უფროსი**

ჯემალ სუჯაშვილი ტელ. 591 27 63 33

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გამგებლის გივი ქირიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ,_____(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ____სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ყოფილი აფთიაქის შენობის კედლების დემონტაჟზე და კულტურის სახლის მშენებლობაზე სრული საპროექტ–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს----------

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია დ. სტეფანწმინდა, ყაზბეგის ქ.N 1

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2014 წლის_____

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორ[illegible]

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.~

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის _____და მოქმედებს 2014 წლის ____ჩათვლით.

შემსყიდველი მიმწოდებელი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ს/კოდი: 241499473, სს `ლიბერთი ბანკის~ ყაზბეგის ფილიალი

ბ/კოდი: LBRTGE22

ა/ა GE78LB 0120 1811 2075 4000

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მიწის ნაკვეთის საკადასტრო ანაზომვითი ნახაზი

ობიექტი: სოფელი	წარმოება: 764 კვმ
დანიშნულება: ინფასტრუქტურა	ადგილმდებარეობა:
საკვლევის საკადასტრო საზღვარი შენობა, შენობის ნაშენი/ნარჩენებიანი ეზოსმაგვარი ნაგებობა სერვიტუტი	შპს "სალუკა 2007" ამომწერი ფაქს ფიზიკური ან კერძო პირ [illegible] 58 93 65
საკადასტრო აზომვითი ჟურნალის ნომერი: ამბი0	ტალონი
დამტკიცებულია: ამბი0	მიწისმზომელ-ტექნიკოსის ბეჭდის ნიმუში

ნაწილი უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N 74.01.13.079

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882011461123 - 21/09/2011 12:24:00	27/09/2011 18:11:27

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ყაზბეგი	სგეფანწმინდა		
74	01	13	079

მისამართი: რაიონი ყაზბეგი , დაბა სგეფანწმინდა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 764.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 74.01.01.762;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010864084 , თარიღი 04/11/2010 12:41:37
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/11/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ , დამოწმების თარიღი:23/12/2009 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი , ID ნომერი:241499473

მესაკუთრე:	აღწერა:
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	

იპოთეკა

საგალასახადო გირაგნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოყალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

Created with
nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional